განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება
ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება
სსიპ, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
2019 წლის 23-24 ოქტომბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი
2019 წლის 28 ნოემბერი

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი
უსდ-ს საიდენტიფიკაციო კოდი	424066977
დაწესებულების ტიპი	უნივერსიტეტი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის დასახელება	ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ვეტერინარიის მაგისტრი - 0841 ვეტერინარიის მაგისტრი (MVM) - 0841
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	308
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ტომას ტიირატსი, DVM, MSc, ვეტერინერიისა და ცხოველთა მეცნიერებების ინსტიტუტის დირექტორი. ესტონეთის სიცოცხლის მეცნიერებათა უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ლევან ციქიშვილი, DVM, PhD საერთაშორისო ასოციაცია ""ვეტერანები საზღვრების გარეშე - კავკასია"; სსიპ, ივანე ბერიტაშვილის სახელობის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ლელა გურგენიძე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერიის ფაკულტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	

აკრედიტაციის დასკვნის რეზიუმე

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ვეტერინარული მედიცინა ევროკავშირში რეგულირებული 7 პროფესიიდან ერთ-ერთია. ეს მოთხოვნები მოცემულია ერთ საკანონმდებლო დოკუმენტში, ევროკავშირის პროფესიული კვალიფიკაციების შესახებ დირექტივა 2013 /55 / EU (ძველი დირექტივის 2005/36 / EC ცვლილება). ინტეგრირებული ვეტერინარიის გრძელვადიანი პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებული მოიპოვებს ვეტერინარის სტატუსს, ე.ი. ვეტერინარის პრაქტიკის განხორციელების უფლებას. ჩვეულებრივი ფაქტია, რომ თითოეულ ქვეყანას აქვს მინიმუმ ერთი სახელმწიფოს / მთავრობის მიერ დაფინანსებული ვეტერინარიის ფაკულტეტი ან ვეტერინარული განათლების უმაღლესი დაწესებულება. ამჟამად საქართველოში არაა ასეთი დაწესებულება.

ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამა შედგენილია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, ვეტერინარიაში შემუშავებული უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნების შესაბამისად (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება No09, 03.01.2018 წ.), ასევე გათვალისწინებულია დარგის სპეციფიკა, შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნები და მსგავსი პროგრამების განხორციელების გამოცდილება წამყვან ევროპულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (ბელგიის გენტის უნივერსიტეტი და ესტონეთის სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებათა უნივერსიტეტი).

პროგრამა შედგება 308 კრედიტისაგან და წარმოდგენილია შემდეგი მოცულობითა და სტრუქტურით:

ზოგადი და საბაზისო კურსები – 77კრედიტი (საერთო კრედიტების 25%);

ზოგადი განათლება თავისუფალი არჩევითი კურსებით - 34 კრედიტი;

საბაზისო განათლება - 43 კრედიტი;

ვეტერინარიის სპეციალობაში - 231 კრედიტი (საერთო კრედიტების 75%).

პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა ხუთი წელია (10 სემესტრი).

ახალი პროგრამა ფოკუსირებულია დარგისა და საზოგადოების საჭიროებების დაკმაყოფილებაზე და ასახავს ვეტერინარიის თანამედროვე გააზრებას, რომელიც მოიცავს საკითხთა ფართო სპექტრს, რადგან ვეტერინარები მზადდებიან არა მხოლოდ ვეტერინარული პრაქტიკისათვის (ე.ი. დაავადებების დიაგნოსტირებისა და მკურნალობისათვის), არამედ, ასევე, კარიერისათვის სურსათის უვნებლობასა და უსაფრთხოებაში, ზოონოზური დაავადებების პროფილაქტიკასა და კონტროლში, ფარმაცევტულ ინდუსტრიაში, ბაზარზე წვდომაში, ვეტერინარულ და ბიო-სამედიცინო კვლევებში, სახელმწიფო სამსახურში და სხვ.

ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ უნივერსიტეტმა დიდი ძალისხმევა გაწია ვეტერინარიის სასწავლო პროგრამის მომზადებაში, რომლის სტრუქტურა და ფორმატი შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. უნივერსიტეტმა გვიჩვენა, რომ ვეტერინარიის ახალი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფს სწავლების შესაბამისობას, როგორც უნივერსიტეტის ხარისხის შიდა სტანდარტებთან, ასევე, ხარისხის ეროვნულ მოთხოვნებთან და შეთანხმებებთან.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მოკლე მიმოხილვა**

გუნდი შედგებოდა 3 წევრისგან (დოქტორი ტომას ტიირატსი - თავმჯდომარე და საერთაშორისო ექსპერტი, დოქტორი ლევან ციცქიშვილი - ექსპერტი, საქართველოს ვეტერინარიის პროფესიის წარმომადგენელი, ქ-ნი ლელა გურგენიძე - სტუდენტების წარმომადგენელი ექსპერტი).
ადგილზე ვიზიტი სამცხე – ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა 2019 წლის 24 ოქტომბერს. ვიზიტის მსვლელობისას შეხვედრები და ინტერვიუები განხორციელდა: უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან (დაესწრო 8 წარმომადგენელი); თვითშეფასების ჯგუფთან (7 წარმომადგენელი); პროგრამის აკადემიურ პერსონალთან (6 წარმომადგენელი); პროგრამის მოწვეულ პერსონალთან (5 წარმომადგენელი); სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან (7 წარმომადგენელი); პოტენციურ დამსაქმებლებთან (8 ორგანიზაცია).

ასევე გაიმართა შეხვედრები პროგრამის ხელმძღვანელთან, ფაკულტეტის დეკანთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან.
ორგანიზებული იყო ტური უნივერსიტეტის (სასწავლო ზონა, ბიბლიოთეკა, მუზეუმი, ლაბორატორიები, კლინიკური ობიექტები) და კამპუსის გარეთ მდებარე ობიექტებში.
ექსპერტთა ჯგუფს სურს მადლობა გადაუხადოს ენთუზიასტ პერსონალს ყველაზე საინტერესო და ინფორმაციული მსჯელობისათვის, რომლებიც განხორციელდა მაღალ პროფესიულ დონეზე.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის რეზიუმე**

1.საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან საერთო ჯამში: მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა საერთო ჯამში: მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.2საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.3 სასწავლო კურსი: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.4პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.5 სწავლებისა და სწავლის მეთოდები: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.6 სტუდენტების შეფასება: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3.სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა საერთო ჯამში: შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის მომსახურებები: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.სასწავლო რესურსების უზრუნველყოფა საერთო ჯამში: შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

4.1. ადამიანური რესურსები: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.3 მატერიალური რესურსები: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.4პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები საერთო ჯამში: შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

5.1 ხარისხის შიდა უზრუნველყოფა: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
5.2 ხარისხის გარე უზრუნველყოფა: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული მიმოხილვა: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- **რეკომენდაციების რეზიუმე**
- **რჩევების რეზიუმე**

- შემოწმებული ობიექტები საკმარისია თეორიული და პრაქტიკული სწავლების უზრუნველსაყოფად. ექსპერტებზე შთაბეჭდილება მოახდინა IT გადაწყვეტილებებმა სწავლებისთვის, კომპიუტერებით აღჭურვილმა საკლასო ოთახებმა და პრეზენტაციის თანამედროვე შესაძლებლობებმა. კლინიკური ობიექტები ამჟამად რეკონსტრუქციის პროცესშია. ცხოველთა წარმოების კლინიკის განახლება დასრულდება 2020 წელს. მიმდებარე მუნიციპალიტეტები გეგმავენ თავშესაფრის აშენებას მაწანწალა ძაღლებისა და კატებისთვის, რაც უნივერსიტეტს მისცემს შესაძლებლობას, გაზარდოს კლინიკური შემთხვევები მცირე ზომის ცხოველებში. გონივრული იქნებოდა, თუ თავშესაფრის პროექტი გაითვალისწინებდა ვეტერინარული შემოწმებისა და ქირურგიულ ოთახებს. უნივერსიტეტი აცნობიერებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ტექნიკის შესასყიდად ყოვლისმომცველი ჩამონათვალის შემუშავების აუცილებლობა, რათა კლინიკური ობიექტები აღიჭურვოს თანამედროვე აპარატურით და ხელსაწყოებით, რომლებიც დღეს გამოიყენება ვეტერინარული პრაქტიკაში.
- საქართველოში, ბოლო ათწლეულების განმავლობაში, უმაღლესი განათლების პოლიტიკაში (განსაკუთრებით ვეტერინარიის უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებით) განვითარებული მოვლენები იყო შეუსაბამო ქვეყანაში მოტივირებული პროფესიონალი ვეტერინარების ახალი თაობისთვის განათლების გადასაცემად. ეს თაობა საქართველოში ფაქტობრივად არ არსებობს. ცხადია, რომ რთულია კვალიფიციური აკადემიური პერსონალის დაქირავება. უნივერსიტეტმა უკვე განახორციელა ყველა შესაძლო ღონისძიება (მაგ., უფასო ტრანსპორტირებისა და განთავსების უზრუნველყოფა) თბილისიდან პედაგოგების მოსაზიდად. გარდა ამისა, უნივერსიტეტმა უნდა იზრუნოს ახალგაზრდა მასწავლებლების გადამზადებაზე, რათა ჩაანაცვლონ კარგად მომზადებული, მაგრამ

ხანდაზმული საპენსიო ასაკს მიახლოებული პროფესორები. საერთაშორისო თანამშრომლობა წარმოადგენს უშუალო წინაპირობას ვეტერინარიის პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

- უნივერსიტეტის ადმინისტრაციას უკვე აქვს საერთაშორისო პროექტებთან დაკავშირებული გამოცდილება. ექსპერტთა ჯგუფი გთავაზობთ საერთაშორისო თანამშრომლობის პროექტების (Erasmus Plus და სხვ.) წამოწყებას ვეტერინარიის სფეროშიც. ექსპერტები რეკომენდაციას უწევენ თურქეთში, ყარსის უნივერსიტეტთან თანამშრომლობას, უახლოესი ვეტერინარიის ფაკულტეტთან, რომელიც დაშორებულია მხოლოდ 200 კილომეტრით. ყარსის უნივერსიტეტი ამჟამად ახორციელებს მნიშვნელოვან რეორგანიზაციას, რომელიც მიზნად ისახავს განაცხადის შეტანას ევროკავშირში, ვეტერინარიის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის მოთხოვნების შესრულებას და შესაბამისი დადასტურების მოპოვებას.
- სხვადასხვა დისციპლინის სილაბუსებს შორის გამოვლინდა რამდენიმე გადაფარვა. მაგალითად, "ცხოველის ბიოლოგიის" კურსი მოიცავს ცხოველების (პირუტყვი, ცხვარი, კატა, ძაღლი, ფრინველი) და მათი ორგანოების ნორმალურ ფუნქციებს, რაც სინამდვილეში უნდა ისწავლებოდეს ფიზიოლოგიის კურსში. ”ცხოველთა ბიოლოგია” არის გარკვეულწილად დამაბნეველი ტერმინი, რომელიც გამოიყენება ევროკავშირის ვეტერინარიის საბაკალავრო განათლების აღმწერ მარეგულირებელ აქტში, რაც გულისხმობს ცხოველების ეკოლოგიის, ზოოლოგიის საფუძვლებს (და მიკრო- ბიოლოგიას, თუ იგი არ ისწავლება სხვა დისციპლინებში). ცხოველთა ეკოლოგიის ძირითადი პრინციპები, პოპულაციის სიჭარბის დინამიკა, მისი რეგულირება და მეცხოველეობის სტრატეგიები, მეცხოველეთა თემებში ინტრასპეციფიური და ინტერსპეციფიური ურთიერთობები, სახეობების დისპერსიული ფორმები და ცხოველების კონსერვაციის ეკოლოგიური მეთოდები ხშირად არის ამ კურსის მთავარი თემა.
- სიფრთხილით განიხილეთ ცოცხალი ცხოველების გამოყენება პრეკლინიკური მეცნიერებების სწავლებაში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში, სწავლებისა და მომზადების პროცესში, ცოცხალი ცხოველების გამოყენება არ არის რეგულირებული, ინვაზიური მეთოდები და მტკივნეული მანიპულაციები თავიდან უნდა აიცილოთ (მაგალითად, პათოფიზიოლოგიის პრაქტიკაში). უნივერსიტეტს აქვს შესანიშნავი IT საშუალებები (მათ შორის კომპიუტერებით აღჭურვილი სალექციო აუდიტორიები), ამიტომ უნდა შემუშავდეს სწავლებისა და სწავლის ალტერნატიული მეთოდები.
- ასევე, მიზანშეწონილია, მეტი ყურადღების დაეთმობა კერძო მეწარმეობის ძირითადი პრინციპების სწავლებისთვის (ე.ი. კომპანიის ჩამოყალიბების პრაქტიკულ ცოდნას, მართოს ვეტერინარული პრაქტიკა როგორც მეწარმემ, საბუღალტრო აღრიცხვის მოთხოვნები და ა.შ.). ეს შესაძლოა ისწავლებოდეს დამამთავრებელი წლის სტუდენტებისთვის, მცირე დამოუკიდებელი კურსის ფორმატში, სახელწოდებით "მენეჯმენტის პრაქტიკა".
- გარე დაინტერესებული მხარეები (მაგ., ფერმერები და რძის ქარხნების მფლობელები) მტკიცედ უჭერენ მხარს ვეტერინარიის პროგრამის შემუშავებას და წამოწყებას. ისინი ავლენენ უნივერსიტეტთან თანამშრომლობის სურვილს, განსაკუთრებით პრაქტიკული ტრენინგის ადგილებთან დაკავშირებით. დაინტერესებული მხარეები აცნობიერებენ, საქართველოში ცხოველთა ვეტერინარების კვალიფიციური მომზადების გადაუდებელ აუცილებლობას, რადგან კვალიფიციური პროფესიონალების არსებობა მათი ბიზნესების ზრდის პროცესის დაჩქარებისთვის მნიშვნელოვანი ელემენტია. უნივერსიტეტს აქვს

შესაძლებლობა მოზიდოს ბიზნესის სექტორი სტუდენტებისთვის პრაქტიკის უზრუნველსაყოფად, და ამავე დროს დაეხმაროს ფერმერებს პრობლემების გადაჭრაში. გრძელვადიან პერიოდში უნდა იქნას გათვალისწინებული უნივერსიტეტის მიერ ფასიანი მომსახურებების მიწოდება ბიზნესებისთვის. დაინტერესებულმა მხარეებმა, ასევე, გამოთქვეს ინტერესი, რომ ვეტერინარიის პროგრამასთან ერთად, გაგრძელდეს მასთან (ვეტერინარიის პროგრამასთან) დაკავშირებული/ მომიჯნავე საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება.

- ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ თანამედროვე სწავლების შესაბამისი რესურსები ხელს უწყობს ვეტერინარიის განათლების უზრუნველყოფას. გაირკვა, რომ ყველა თანამშრომელსა და სტუდენტს ადგილზე სრული წვდომა აქვს აკადემიურ ბიბლიოთეკაზე, ინფორმაციული ტექნოლოგიების საშუალებებზე და ელექტრონული სწავლების პლატფორმაზე. ამასთან, უნივერსიტეტმა უნდა დაიწყოს აუცილებელი კლინიკური აპარატურისა და ინსტრუმენტების შესყიდვა, რათა უზრუნველყოს სწავლებისა და სწავლის საუკეთესო სტანდარტები სასწავლო კლინიკებში, ისევე, როგორც საკმარისი შესაძლებლობები პროგრამაში ჩარიცხულ სტუდენტთა პრაქტიკული ტრენინგისთვის. პირველ რიგში, ეს ეხება მეოთხე და მეხუთე წლის კლინიკურ დისციპლინებს. ახლანდელ კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს დამოუკიდებლად შეასრულოს ვეტერინარული პროფესიის დამწყები დონის დავალებები და მოვალეობები, საკმარისად უნდა იყოს თავდაჯერებული, რათა თავად განახორციელოს ვეტერინარიული პრაქტიკა პირველადი სამედიცინო დახმარების დონეზე. მისი კლინიკური პრაქტიკული კომპეტენციის გაზრდისა და საუკეთესო ვეტერინარული პრაქტიკის დანერგვის მიზნით, უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს საერთაშორისო თანამშრომლობისა და გაცვლითი პროგრამები აკადემიური პერსონალისათვის.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ერთმანეთთან ლოგიკურადაა დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით რეგულარულად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები განსაზღვრავს იმ ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ერთობლიობას, რომელთა განვითარებასაც პროგრამა მიზნად ისახავს კურსდამთავრებულებში. პროგრამის მიზნები ასევე ახდენს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში შესატანი წვლილის ილუსტრირებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის მიზნები შედგენილია ვეტერინარიის დარგის უმაღლესი განათლების მახასიათებლების მიხედვით, რომლებიც შემუშავდა დამოუკიდებელი ექსპერტთა ჯგუფის მიერ, ისინი (მახასიათებლები) განსაზღვრავენ საჭირო ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს. ახალი პროგრამა შეესატყვისება ვეტერინარიის თანამედროვე გააზრებას, რომელიც მოიცავს საკითხთა ფართო სპექტრს და ვეტერინარები მზადდებიან არა მხოლოდ ვეტერინარული პრაქტიკისათვის (ე.ი. დაავადებების დიაგნოსტირებისა და მკურნალობისათვის), არამედ, ასევე, კარიერისათვის სურსათის უვნებლობასა და უსაფრთხოებაში, ზოონოზური დაავადებების პროფილაქტიკასა და კონტროლში, ფარმაცევტულ ინდუსტრიაში, ბაზარზე წვდომაში, ვეტერინარულ და ბიო-სამედიცინო კვლევებში, სახელმწიფო სამსახურში და სხვ. პროგრამის შემუშავების დროს, ფაკულტეტი ხშირად ატარებდა ფართო კონსულტაციებს სტუდენტებთან და ვეტერინარიის დარგის გარე დაინტერესებულ მხარეებთან. პროგრამა გუნდური მუშაობის პროდუქტია, ამასთან, მიზნები გუნდის წევრების მიერ კარგად იყო გაგებული. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ასრულებს ვეტერინარიის პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მოთხოვნებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: - პროგრამის აღწერილობა; - ვეტერინარიის ფაკულტეტის მისია; - ვეტერინარიის ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმები; - ინტერვიუები პროგრამის მენეჯმენტთან და ადმინისტრაციის გუნდთან; - ინტერვიუები სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; - ინტერვიუები აფილირებულ აკადემიურ პერსონალთან და მოწვეულ აკადემიურ პერსონალთან; - გასაუბრება დამსაქმებლების წარმომადგენლებთან; - ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: - სხვადასხვა დისციპლინის სილაბუსებს შორის გამოვლინდა რამდენიმე გადაფარვა. მაგალითად, "ცხოველის ბიოლოგიის" კურსი მოიცავს ცხოველების (პირუტყვი, ცხვარი,

კატა, ძაღლი, ფრინველი) და მათი ორგანოების ნორმალურ ფუნქციებს, რაც სინამდვილეში უნდა ისწავლებოდეს ფიზიოლოგიის კურსში. "ცხოველთა ბიოლოგია" არის გარკვეულწილად დამაბნეველი ტერმინი, რომელიც გამოიყენება ევროკავშირის ვეტერინარიის საბაკალავრო განათლების აღმწერ მარეგულირებელ აქტში, რაც გულისხმობს ცხოველების ეკოლოგიის, ზოოლოგიის საფუძვლებს (და მიკრო-ბიოლოგიას, თუ იგი არ ისწავლება სხვა დისციპლინებში). ცხოველთა ეკოლოგიის ძირითადი პრინციპები, პოპულაციის სიჭარბის დინამიკა, მისი რეგულირება და მეცხოველეობის სტრატეგიები, მეცხოველეთა თემებში ინტრასპეციფიური და ინტერსპეციფიური ურთიერთობები, სახეობების დისპერსიული ფორმები და ცხოველების კონსერვაციის ეკოლოგიური მეთოდები ხშირად არის ამ კურსის მთავარი თემა. - სიფრთხილით განიხილეთ ცოცხალი ცხოველების გამოყენება პრეკლინიკური მეცნიერებების სწავლებაში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში, სწავლებისა და მომზადების პროცესში, ცოცხალი ცხოველების გამოყენება არ არის რეგულირებული, ინვაზიური მეთოდები და მტკივნეული მანიპულაციები თავიდან უნდა აიცილოთ (მაგალითად, პათოფიზიოლოგიის პრაქტიკაში). უნივერსიტეტს აქვს შესანიშნავი IT საშუალებები (მათ შორის კომპიუტერებით აღჭურვილი სალექციო აუდიტორიები), ამიტომ უნდა შემუშავდეს სწავლებისა და სწავლის ალტერნატიული მეთოდები. - ასევე, მიზანშეწონილია, მეტი ყურადღების დაეთმობა კერძო მეწარმეობის ძირითადი პრინციპების სწავლებისთვის (ე.ი. კომპანიის ჩამოყალიბების პრაქტიკულ ცოდნას, მართოს ვეტერინარული პრაქტიკა როგორც მეწარმემ, საბუღალტრო აღრიცხვის მოთხოვნები და ა.შ.). ეს შესაძლოა ისწავლებოდეს დამამთავრებელი წლის სტუდენტებისთვის, მცირე დამოუკიდებელი კურსის ფორმატში, სახელწოდებით "მენეჯმენტის პრაქტიკა".
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან √ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2.პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები არის ის ცოდნა, უნარები და/ან პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ სწავლის შედეგების შეფასების ციკლი მოიცავს მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;

- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ვეტერინარიის სასწავლო პროგრამის შინაარსთან და შედეგებთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა გარკვეული სხვაობა აკადემიური პერსონალის, სტუდენტებისა და დამსაქმებლების აღქმასა და მოლოდინებს შორის. შეძენილ ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებსა და მოსალოდნელ შედეგებს შორის მკაფიო განმასხვავებელი ნიშნები, ხელს შეუწყობს პროგრამის მიზნების ჰარმონიზაციას სწავლის შედეგებთან და მოსალოდნელ შედეგებთან. მიზანშეწონილია შემცირდეს იმ ზოგადი საგნების წილი, რომლებსაც ასწავლიან სკოლის დონეზე.
ექსპერტების რეკომენდაციით, პროგრამა შეესაბამება შრომის ბაზრის საჭიროებებს, მაგრამ, ასევე, ამზადებს სტუდენტებს დოქტორანტურაში სწავლის გასაგრძელებლად. შეფასება ხორციელდება გამოკითხვებით და პირდაპირ ინტერვიუებით.
პროგრამა მოიცავს კომპეტენციისა და სწავლის შედეგების სხვადასხვა სფეროებს, როგორც კოგნიტურს, ასევე პრაქტიკულს. კურსები ორიენტირებულია როგორც აკადემიურ, ასევე პროფესიულ საჭიროებებზე, ხოლო მათი შინაარსი მკაფიოდ არის განსაზღვრული. სასწავლო პროგრამა კარგად სტრუქტურირებული ჩანს, მოიცავს სტუდენტთა სწავლისა და აკადემიური მოსწრების სამიზნე ნიშნულებს, ასევე მკაფიო მითითებებს შეფასებისა და ქულების მინიჭების მეთოდების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის აღწერილობა;
- ინტერვიუები პროგრამის მენეჯმენტთან და ადმინისტრაციის გუნდთან;
- ინტერვიუები სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- ინტერვიუები აფილირებულ აკადემიურ პერსონალთან და მოწვეულ აკადემიურ პერსონალთან;
- ინტერვიუები დამსაქმებლების წარმომადგენლებთან;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

- ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ თანამედროვე სწავლების შესაბამისი რესურსები ხელს უწყობს ვეტერინარიის განათლების უზრუნველყოფას. გაირკვა, რომ ყველა თანამშრომელსა და სტუდენტს ადგილზე სრული წვდომა აქვს აკადემიურ ბიბლიოთეკაზე, ინფორმაციული ტექნოლოგიების საშუალებებზე და ელექტრონული სწავლების პლატფორმაზე. ამასთან, უნივერსიტეტმა უნდა დაიწყოს აუცილებელი კლინიკური აპარატურისა და ინსტრუმენტების შესყიდვა, რათა უზრუნველყოს სწავლებისა და სწავლის საუკეთესო სტანდარტები სასწავლო კლინიკებში, ისევე, როგორც საკმარისი შესაძლებლობები პროგრამაში ჩარიცხულ სტუდენტთა პრაქტიკული ტრენინგისთვის. პირველ რიგში, ეს ეხება მეოთხე და მეხუთე წლის კლინიკურ დისციპლინებს. ახლანდელ კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს დამოუკიდებლად შეასრულოს ვეტერინარული პროფესიის დამწყები დონის დავალებები და მოვალეობები, საკმარისად უნდა იყოს თავდაჯერებული, რათა თავად განახორციელოს ვეტერინარიული პრაქტიკა პირველადი სამედიცინო დახმარების დონეზე. მისი კლინიკური პრაქტიკული კომპეტენციის გაზრდისა და საუკეთესო ვეტერინარული პრაქტიკის დანერგვის მიზნით, უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს საერთაშორისო თანამშრომლობისა და გაცვლითი პროგრამები აკადემიური პერსონალისათვის.

საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან √ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან		√		

2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს მიზნებისა და დასახული სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ვეტერინარიის ინტეგრირებულ პროგრამაზე დაშვების პირობები შესაბამისი და საჯაროდ ხელმისაწვდომია. პროგრამაზე დაშვების პირობები შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან. საერთაშორისო სტუდენტთა მიღება ასევე დარეგულირებულია. დაშვების თაობაზე უნივერსიტეტმა მიიღო სპეციალური წესები და პოლიტიკა: შიდა გამოცდა სპეციალობის სფეროში და გამოცდა უცხო ენაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დაშვების ზოგადი პირობები გამოქვეყნებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;
- პროგრამა;
- საქართველოს შესაბამისი სამართლებრივი აქტები (საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ) (https://matsne.gov.ge/en/document/download/32830/55/en/pdf);
- ინტერვიუები ადგილზე ვიზიტის დროს;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

საქართველოში ნამდვილად არის საწარმოო-ცხოველთა მაღალკვალიფიციური ვეტერინარული სერვისების ეროვნული დეფიციტი. მიუხედავად ამისა, უნივერსიტეტს მიეცა რჩევა, რომ ყურადღებით გაითვალისწინოს კლასებში სტუდენტების რაოდენობის ზეგავლენა მათ მოსწრებაზე, რათა უზრუნველყოფილ იქნეს, მომავალი კურსდამთავრებულების ხარისხიანი სწავლება. პროგრამაზე წლიური მიღების გონივრული მაქსიმუმი შეადგენს 40-45 სტუდენტს.

საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრეში (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შედგენისა და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სტრუქტურა ლოგიკურია, კარგადა არის შემუშავებული და განსაზღვრული. შინაარსის ნაწილი შეიცავს ყველა საჭირო ინფორმაციას, რომელიც ეხება პროგრამის მიზნებს, კვალიფიკაციებს, დაშვების პირობებს, სწავლის შედეგებს, სტუდენტთა შეფასების სისტემას, სწავლების მეთოდებს სწავლის შედეგების მისაღწევად, სასწავლო გეგმას, სასწავლო პროცესის ორგანიზებას, ფინანსურ საკითხებს, ხარისხის განვითარების საკითხებს, პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალურ რესურსებს, ადამიანურ რესურსებს და ა.შ. შინაარსი შეესაბამება მოქმედ კანონებსა და კანონქვემდებარე აქტებს იმ ნაწილებში, რომლებიც მომზადებულია სამართლებრივი აქტების საფუძველზე. კურსები იყოფა მოდულებად - სავალდებულო, არჩევითი,

პროფესიული პრაქტიკა და სამაგისტრო ნაშრომი. შესაბამისად, ასახულია თეორიული, გამოყენებითი და კვლევაზე დაფუძნებული სწავლის ეფექტური ნაზავი. ასეთი მიდგომა სტუდენტებს საშუალებას აძლევს პრაქტიკული და კვლევითი უნარების გამომუშავებასთან ერთად, შეიძინონ ცოდნა კონკრეტულ სფეროში,. სამაგისტრო ნაშრომის დებულება (ხელმძღვანელობა, ხარისხის კონტროლი, დაცვის პროცედურა) დეტალურად იქნა განხილული ადგილზე ვიზიტისას და დადგინდა, რომ იგი კარგად არის დამკვიდრებული. ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ უნივერსიტეტმა დიდი ძალისხმევა გაწია ვეტერინარიის სასწავლო პროგრამის მომზადებაში, რომლის ძირითადი სტრუქტურა და ფორმატი შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. უნივერსიტეტმა მოახდინა იმის დემონსტრირება, რომ შეუძლია ვეტერინარიის ახალი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, რომელიც შეესაბამება უნივერსიტეტის ხარისხის სტანდარტებს, ისევე, როგორც ხარისხის ეროვნულ მოთხოვნებსა და რეგულაციებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: - პროგრამა - უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, დიზაინისა და შემუშავების მეთოდოლოგია
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: - სხვადასხვა დისციპლინის სილაბუსებს შორის გამოვლინდა რამდენიმე გადაფარვა. მაგალითად, "ცხოველის ბიოლოგიის" კურსი მოიცავს ცხოველების (პირუტყვი, ცხვარი, კატა, ძაღლი, ფრინველი) და მათი ორგანოების ნორმალურ ფუნქციებს, რაც სინამდვილეში უნდა ისწავლებოდეს ფიზიოლოგიის კურსში. ”ცხოველთა ბიოლოგია” არის გარკვეულწილად დამაბნეველი ტერმინი, რომელიც გამოიყენება ევროკავშირის ვეტერინარიის საბაკალავრო განათლების აღმწერ მარეგულირებელ აქტში, რაც გულისხმობს ცხოველების ეკოლოგიის, ზოოლოგიის საფუძვლებს (და მიკრო- ბიოლოგიას, თუ იგი არ ისწავლება სხვა დისციპლინებში). ცხოველთა ეკოლოგიის ძირითადი პრინციპები, პოპულაციის სიჭარბის დინამიკა, მისი რეგულირება და მეცხოველეობის სტრატეგიები, მეცხოველეთა თემებში ინტრასპეციფიური და ინტერსპეციფიური ურთიერთობები, სახეობების დისპერსიული ფორმები და ცხოველების კონსერვაციის ეკოლოგიური მეთოდები ხშირად არის ამ კურსის მთავარი თემა. - სიფრთხილით განიხილეთ ცოცხალი ცხოველების გამოყენება პრეკლინიკური მეცნიერებების სწავლებაში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში, სწავლებისა და მომზადების პროცესში, ცოცხალი ცხოველების გამოყენება არ არის რეგულირებული, ინვაზიური მეთოდები და მტკივნეული მანიპულაციები თავიდან უნდა აიცილოთ (მაგალითად, პათოფიზიოლოგიის პრაქტიკაში). უნივერსიტეტს აქვს შესანიშნავი IT საშუალებები (მათ შორის კომპიუტერებით აღჭურვილი სალექციო აუდიტორიები), ამიტომ უნდა შემუშავდეს სწავლებისა და სწავლის ალტერნატიული მეთოდები.
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3 სასწავლო კურსი

- თითოეულო ძირითადი კურსის სტუდენტის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან; ამის გარდა, თითოეული კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის განზრახული სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კურსები შექმნილია პროგრამის შედეგების მისაღწევად, ანუ კურსის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან და ამოცანებთან. შესაბამისი სქემები მოცემულია პროგრამაში. სილაბუსებში ჩამოთვლილი სასწავლო მასალა ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში ბეჭდური და ელექტრონული სახით. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს სასიამოვნო და პროდუქტიულ გარემოს, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს უნივერსიტეტის ერთ – ერთ სიძლიერედ.

სილაბუსებში ჩამოთვლილი ძირითადი სასწავლო / საკითხავი მასალები უმეტესად, არის ქართველი ავტორებისგან ან თარგმნილია ქართულად. უნივერსიტეტმა იცის პრობლემის შესახებ და გეგმავს სტუდენტების წახალისებას ინგლისური ენის შესასწავლად, პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაუმჯობესების გზით. სხვათა შორის, ინტერვიუების დროს, ყველა სტუდენტსა და კურსდამთავრებულს კარგად ესმოდათ ინგლისური, ხოლო ზოგიერთ მათგანს შეეძლო ინგლისურ ენაზე კომუნიკაცია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კურსების სილაბუსები;
- პროგრამა;
- ინტერვიუები სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- ადგილზე ვიზიტი ინტერვიუებით.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

უნივერსიტეტის ადმინისტრაციას უკვე აქვს საერთაშორისო პროექტებთან დაკავშირებილი გამოცდილება. ექსპერტთა ჯგუფი გთავაზობთ საერთაშორისო თანამშრომლობის პროექტების (Erasmus Plus და სხვ.) წამოწყებას ვეტერინარიის სფეროშიც. ექსპერტები რეკომენდაციას უწევენ თურქეთში, ყარსის უნივერსიტეტთან თანამშრომლობას, უახლოესი ვეტერინარიის ფაკულტეტთან, რომელიც დაშორებულია მხოლოდ 200 კილომეტრით. ყარსის უნივერსიტეტი ამჟამად ახორციელებს მნიშვნელოვან

რეორგანიზაციას, რომელიც მიზნად ისახავს განაცხადის შეტანას ევროკავშირში, ვეტერინარიის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის მოთხოვნების შესრულებას და შესაბამისი დადასტურების მოპოვებას.
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სასწავლო პროგრამა და შეთავაზებული კურსები სტუდენტებს აძლევს ძირითად თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას, ასევე კვლევის უნარებს. სხვადასხვა ორგანიზაციებთან გაფორმდა მემორანდუმები ან თანამშრომლობის ხელშეკრულებები პრაქტიკის გავლასა და სტაჟირებასთან დაკავშირებით. რაც მთავარია, ამგვარი პარტნიორობა ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობებს. მაგისტრანტებს აქვთ შესაძლებლობა აირჩიონ სადისერტაციო თემა, ისევე, როგორც ხელმძღვანელი. სამაგისტრო ნაშრომის დებულება (ხელმძღვანელობა, ხარისხის კონტროლი, დაცვის პროცედურა) დეტალურად იქნა განხილული ადგილზე ვიზიტისას და დადგინდა, რომ იგი კარგად არის დაწესებული.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: - პროგრამა - ხელშეკრულებები და მემორანდუმები - თვითშეფასების ანგარიში - ინტერვიუები სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: ახალ კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს დამოუკიდებლად შეასრულოს ვეტერინარული პროფესიის დამწყები დონის დავალებები და მოვალეობები და საკმარისად იყოს თავდაჯერებული, რათა თავად განახორციელოს ვეტერინარული პრაქტიკა პირველადი სამედიცინო დახმარების დონეზე. მისი კლინიკური პრაქტიკული კომპეტენციის

გაზრდისა და საუკეთესო ვეტერინარული პრაქტიკის დანერგვის მიზნით, უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს საერთაშორისო თანამშრომლობისა და გაცვლის პროგრამები აკადემიური პერსონალისათვის.
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სწავლებისა და სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლის შედეგებს. არსებობს საკმაო მოქნილობა სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებაში, როდესაც საქმე ეხება ვეტერინარიის დარგის სამიზნე ნიშნულების მოთხოვნებს უმაღლესი განათლებაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: - თვითშეფასების ანგარიში და კურსების სილაბუსები - ინტერვიუები პერსონალთან და სტუდენტებთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: სიფრთხილით განიხილეთ ცოცხალი ცხოველების გამოყენება პრეკლინიკური მეცნიერებების სწავლებაში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში, სწავლებისა და მომზადების პროცესში, ცოცხალი ცხოველების გამოყენება არ არის რეგულირებული, ინვაზიური მეთოდები და მტკივნეული მანიპულაციები თავიდან უნდა აიცილოთ (მაგალითად, პათოფიზიოლოგიის პრაქტიკაში). უნივერსიტეტს აქვს შესანიშნავი IT საშუალებები (მათ შორის კომპიუტერებით აღჭურვილი სალექციო აუდიტორიები), ამიტომ უნდა შემუშავდეს სწავლებისა და სწავლის ალტერნატიული მეთოდები.
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6.სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით. იგი გამჭვირვალეა და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის სტუდენტთა შეფასების სისტემა ემყარება კანონმდებლობის მოთხოვნებს. ადაპტირებულია კურსზე დაფუძნებული შეფასების მიდგომა. პედაგოგებს აქვთ რეგულარული სამუშაო საათები სტუდენტებისთვის, რათა მათ შეეძლოთ შესაბამისი საკითხების განხილვა ინდივიდუალურად და პირისპირ. სტუდენტები უნივერსიტეტის შეფასების სისტემას თვლიან სამართლიანად და გამჭვირვალედ. შეფასებასთან დაკავშირებით სტუდენტთა საჩივრებს ადგილი არ ჰქონია. სტუდენტებმა იციან მათი უფლებები და მოვალეობები, მაგრამ არა კონკრეტული პროცედურები. სტუდენტებს მიაჩნიათ, რომ უნივერსიტეტი სთავაზობს არა მხოლოდ ღრმა თეორიულ განათლებას, არამედ საკმარის პრაქტიკულ კურსებასაც. სხვა რეგიონების სტუდენტები თვლიან, რომ უამრავი მოტივირებული ახალგაზრდაა, ვეტერინარიის შესწავლით დაინტერესებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამა;
- სილაბუსები;
- გასაუბრების შედეგები;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

3. სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა

უსდ ქმნის სტუდენტზე ორიენტირებულ გარემოს შესაბამისი სერვისების შეთავაზებით. პროგრამის განმახორციელებელი თანამშრომლები აცნობენ სტუდენტებს აღნიშნულ სერვისებს, ატარებენ ღონისძიებებს და ხელს უწყობენ სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1.სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისები
სტუდენტები იღებენ სათანადო კონსულტაციებსა და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან, დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტები იღებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან, დასაქმებასთან და პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებით ადეკვატურ ინფორმაციასა და დახმარებას. მათ იციან ინფორმაციის შესაბამისი წყაროები და აქვთ ინფორმაცია მათთვის ხელმისაწვდომი დამხმარე სერვისების შესახებ. ფაკულტეტის ადმინისტრაცია, პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამის ტუტორი და პროგრამის აკადემიური პერსონალი ყოველთვის მზად არიან მხარი დაუჭირონ სტუდენტებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში და უპასუხონ სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ნებისმიერ შეკითხვას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: - ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამა, კურსების სილაბუსები; - დამხმარე ადმინისტრაციული ერთეულების დებულებები; - სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა საინფორმაციო მომსახურების სისტემა; - კარიერული ზრდის ცენტრის დოკუმენტაცია (ფოტო მასალა); - პოტენციურ დამსაქმებლებთან შეხვედრის ოქმები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის აარსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2.მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ სადისერტაციო ნაშრომის კვალიფიციური ხელმძღვანელები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამის განხორციელების პროცესში მონაწილეობს სულ 21 აკადემიური (აფილირებული) პერსონალი, მათ შორის 10 პროფესორი, 11 ასოცირებული პროფესორი და 15 მოწვეული სპეციალისტი.
სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს ეყოლებათ კვალიფიციური ხელმძღვანელები, რაც დასტურდება სათანადო დოკუმენტაციით (პროგრამის აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები). უნივერსიტეტმა შეიმუშავა სახელმძღვანელო სამაგისტრო ნაშრომის მომზადების შესახებ, ასევე შესაბამისი დისერტაციის დაცვის ინსტრუქცია, რომელიც ასახავს ხელმძღვანელებისა და სტუდენტების უფლებებსა და მოვალეობებს. ხელმძღვანელს შეუძლია ერთდროულად მაქსიმუმ სამ მაგისტრანტს უხელმძღვანელოს. დოკუმენტი ასახავს სტუდენტების უფლებებს ზოგადი სამეცნიერო რჩევების მიღებასთან, ბიბლიოგრაფიული მონაცემების მოძიებაში მხარდაჭერასთან, კვლევითი სამუშაოების მომზადებაში, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებაში ინტეგრაციასთან, სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობასა და კვლევის შედეგების პრეზენტაციასთან დაკავშირებით, ასევე, მოიცავს რჩევებს რეფერირებად ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის ლიდერებთან, შიდა / გარე აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

გარე დაინტერესებული მხარეები (მაგ., ფერმერები და რძის ქარხნების მფლობელები) მტკიცედ უჭერენ მხარს ვეტერინარიის პროგრამის შემუშავებას და წამოწყებას. ისინი ავლენენ უნივერსიტეტთან თანამშრომლობის სურვილს, განსაკუთრებით პრაქტიკული ტრენინგის ადგილებთან დაკავშირებით. დაინტერესებული მხარეები აცნობიერებენ, საქართველოში ცხოველთა ვეტერინარების კვალიფიციური მომზადების გადაუდებელ აუცილებლობას, რადგან კვალიფიციური პროფესიონალების არსებობა მათი ბიზნესების ზრდის პროცესის დაჩქარებისთვის მნიშვნელოვანი ელემენტია. უნივერსიტეტს აქვს

შესაძლებლობა მოზიდოს ბიზნესის სექტორი სტუდენტებისთვის პრაქტიკის უზრუნველსაყოფად, და ამავე დროს დაეხმაროს ფერმერებს პრობლემების გადაჭრაში. ეს შეიძლება, ასევე, დაეხმაროს სტუდენტებს სადისერტაციო თემების შერჩევაში, რაც იძლევა პრაქტიკული მნიშვნელობის შედეგებს.
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4.სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა

პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსები
➢ პროგრამის პერსონალი შედგება კვალიფიციური სპეციალისტებისაგან, რომლებიც ფლობენ საჭირო კომპეტენციას, რათა დაეხმარონ სტუდენტებს სწავლის შედეგების მიღწევაში; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის მდგრად წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ

პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის საჭირო ცოდნა და გამოცდილება. იგი უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს სასწავლო გეგმის შესრულებას, აგრეთვე შესაბამისი კვლევისა და მათზე დაკისრებული სხვა ფუნქციების შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. სასწავლო პროგრამაზე აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა რეგულირდება უნივერსიტეტის "აკადემიური პერსონალის რაოდენობის დადგენის წესებით".
მტკიცებულებები/ინდიკატორები: - აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა; - პროგრამაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები: CV, პუბლიკაციები, საკონფერენციო მოხსენებები, კონკურსის მასალები, შრომითი ხელშეკრულებები; - პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე; - ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან ხელშეკრულების ფორმა, სამსახურების დებულებები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: საქართველოში, ბოლო ათწლეულების განმავლობაში, უმაღლესი განათლების პოლიტიკაში (განსაკუთრებით ვეტერინარიის უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებით) განვითარებული მოვლენები იყო შეუსაბამო ქვეყანაში მოტივირებული პროფესიონალი ვეტერინარების ახალი თაობისთვის განათლების გადასაცემად. ეს თაობა საქართველოში ფაქტობრივად არ არსებობს. ცხადია, რომ რთულია კვალიფიციური აკადემიური პერსონალის დაქირავება. უნივერსიტეტმა უკვე განახორციელა ყველა შესაძლო ღონისძიება (მაგ., უფასო ტრანსპორტირებისა და განთავსების უზრუნველყოფა) თბილისიდან პედაგოგების მოსაზიდად. გარდა ამისა, უნივერსიტეტმა უნდა იზრუნოს ახალგაზრდა მასწავლებლების გადამზადებაზე, რათა ჩაანაცვლონ კარგად მომზადებული, მაგრამ ხანდაზმული საპენსიო ასაკს მიახლოებული პროფესორები. საერთაშორისო თანამშრომლობა წარმოადგენს უშუალო წინაპირობას ვეტერინარიის პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად.
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ უსდ რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. გარდა ამისა, ხელს უწყობს მათ სამეცნიერო/კვლევით საქმიანობას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამას დამატებული აქვს სხვადასხვა (ექსტრაკურიკულარული) სამეცნიერო და საგანმანათლებლო აქტივობები და ღონისძიებები, როგორც სტუდენტების, ისე აკადემიური პერსონალისათვის. კონფერენციები ჩატარდება როგორც უნივერსიტეტში, ასევე სხვა უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით, ხოლო მასალები გამოქვეყნდება. უნივერსიტეტს გააჩნია ყველა საჭირო ინფრასტრუქტურა და რესურსი როგორც კვლევისთვის, ასევე სწავლა / სწავლებისთვის, მათ შორის ბიბლიოთეკა, რომელიც აღჭურვილია კომპიუტერებით და ელექტრონული სამეცნიერო მონაცემთა ბაზით (კატალოგით). ამჟამად, აკადემიური პერსონალის მხოლოდ რამდენიმე წევრი მონაწილეობს საერთაშორისო პროექტებში. ერასმუსის პროექტის ფარგლებში უნივერსიტეტი თანამშრომლობს სხვა უმაღლესი განათლების დაწესებულებებთან. ამასთან, ჩვენ შევნიშნეთ, რომ უცხოურ უსდ-ებთან თანამშრომლობა სამეცნიერო პროექტებთან დაკავშირებით არის სუსტი. უნივერსიტეტმა დადგენილი აქვს წესები კვლევების შესაფასებლად. ამ წესების თანახმად, უნივერსიტეტი მხარს უჭერს კვლევასთან დაკავშირებულ საქმიანობას, მაგ., მონოგრაფიების, სახელმძღვანელოების და სამეცნიერო სტატიების პუბლიკაციას. მოსალოდნელია, რომ აკადემიური პერსონალი ჩაერთვება კვლევებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: - აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები; - აკადემიური და მოწვეული პერსონალის პერსონალური განვითარება; - სტატისტიკური მონაცემები პერსონალის შესახებ;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: უნივერსიტეტმა უნდა იზრუნოს ახალგაზრდა მასწავლებლების გადამზადებაზე, რათა ჩაანაცვლონ კარგად მომზადებული, მაგრამ ხანდაზმული საპენსიო ასაკს მიახლოებული პროფესორები. საერთაშორისო თანამშრომლობა წარმოადგენს უშუალო წინაპირობას ვეტერინარიის პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად.
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

 მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3.მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მონახულებული ობიექტები საკმარისია თეორიული და პრაქტიკული სწავლების უზრუნველსაყოფად. ექსპერტებზე შთაბეჭდილება მოახდინა სწავლებისთვის ხელმისაწვდომმა IT გადაწყვეტილებებმა, კომპიუტერებით აღჭურვილმა საკლასო ოთახებმა და პრეზენტაციის თანამედროვე შესაძლებლობებმა. კლინიკური ობიექტები ამჟამად რეკონსტრუქციის პროცესშია. შინაური საქონლის კლინიკის განახლება დასრულდება 2020 წელს. უნივერსიტეტმა იცის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ტექნიკის შესასყიდად ყოვლისმომცველი ჩამონათვალის შემუშავება, რათა კლინიკური ობიექტები აღიჭურვოს თანამედროვე აპარატურით და ხელსაწყოებით, რომლებიც დღეს გამოიყენება ვეტერინარულ პრაქტიკაში.

ინტერნეტი ხელმისაწვდომია მთელ კამპუსში. სამეცნიერო ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია სრული ელექტრონული კატალოგით (45 000 ერთეული).
2017 წლიდან, ხელშეკრულება № 2017/20-ის საფუძველზე, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საინფორმაციო ქსელის კონსორციუმთან (NAPR) ერთად, უნივერსიტეტს შეუძლია გამოიყენოს NAPR- ის ელექტრონული რესურსები:
2018 წლის № 2018/25 ხელშეკრულების თანახმად, უნივერსიტეტს შეუძლია გამოიყენოს შემდეგი ელექტრონული რესურსები:
Cambridge Journals Online (https://www.cambridge.org/core); BioOne Complete (http://www.bioone.org/); e-Duke Journals Scholarly Collection (https://www.dukeupress.edu/); Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books (https://www.elgaronline.com/page/70/journals);
IMechE Journals (https://us.sagepub.com/en-us/nam/IMeche) New England Journal of Medicine (http://www.nejm.org/); Open edition Journals (http://www.openedition.org/);
Royal Society Journals Collection (https://royalsociety.org/journals/); SAGE Premier https://us.sagepub.com/en-us/nam/sage-premier.
2015 წელს, "National Science Library"-ის ფილიალი გაიხსნა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის - საინფორმაციო ცენტრში, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია "Cambridge Dictionaries Online dictionaries" სარგებლობა. ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი (4 მილიონი ეგზემპლარი), ისევე, როგორც ელექტრონული რესურსი (120,000 ერთეული) ხელმისაწვდომია მოთხოვნის შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- არსებული სალექციო აუდიტორიები და ლაბორატორიები უნივერსიტეტის შენობაში,

რუსთაველის ქ. 122 - უნივერსიტეტის ამჟამინდელი ინფრასტრუქტურის მდგომარეობა; - უნივერსიტეტის ხელშეკრულებები თანამშრომლობაზე; - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა; - ფაკულტეტის ინფრასტრუქტურა;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: მიმდებარე მუნიციპალიტეტები გეგმავენ თავშესაფრის აშენებას მაწანწალა ძაღლებისა და კატებისთვის, რაც უნივერსიტეტს საშუალებას მისცემს გაზარდოს კლინიკური შემთხვევების შესწავლის შესაძლებლობა მცირე ზომის ცხოველებში. გონივრული იქნებოდა, თუ თავშესაფრის ობიექტის პროექტი გაითვალისწინებდა ვეტერინარული შემოწმებისა და ქირურგიულ ოთახებს. გთხოვთ, გაითვალისწინეთ, რომ დღესდღეობით მცირე ზომის ცხოველები ხდება მზარდი ტენდენცია ვეტერინარიაში.
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა დაფინანსდება უნივერსიტეტის ერთიანი ბიუჯეტიდან მიღებული თანხებით. ბიუჯეტის ხარჯები მოიცავს: შრომის ანაზღაურებას, კომპიუტერებსა და აღჭურვილობას სწავლების / სწავლის მიზნებისათვის, ინვენტარს, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლას და კომუნალური მომსახურებებს. ისინი ასევე მოიცავს პროგრამის შემუშავების მთლიანი ხარჯების 6% -ს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: - საგანმანათლებლო პროგრამა, პროგრამის ბიუჯეტი - ბიუჯეტის დაგეგმვის წესები
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: უნივერსიტეტმა უნდა დაიწყოს აუცილებელი კლინიკური აპარატურისა და ინსტრუმენტების შესყიდვა, რათა უზრუნველყოს სწავლებისა და სწავლის საუკეთესო სტანდარტები სასწავლო კლინიკებში, აგრეთვე, საკმარისი კვალიფიკაცია პროგრამაში ჩარიცხულ სტუდენტთა პრაქტიკული სწავლებისათვის. პირველ რიგში, ეს ეხება მეოთხე და მეხუთე წლის კლინიკურ დისციპლინებს. უნივერსიტეტს შესაძლოა დესჭირდეს მნიშვნელოვანი დამატებითი ხარჯები განხორციელების ეტაპზე.
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5.სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის მომსახურებებს და ასევე, პერიოდულად ახორციელებს პროგრამის მონიტორინგსა და მიმოხილვას. რეგულარულად ხდება საჭირო ინფორმაციის მოპოვება, გაანალიზება და გამოყენება გააზრებული გადაწყვეტილების მისაღებად და პროგრამის განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხი
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სამსახურთან პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის დაგეგმვაში, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებასა და შეფასების შედეგების ანალიზში. პროგრამის პერსონალი იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის პერსონალი, პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურების დადგენის, შეფასების ინსტრუმენტების შექმნისა და შეფასების შედეგების ანალიზის პროცესში, თანამშრომლობს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან. პროგრამის პერსონალი მიღებულ შედეგებს იყენებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხორციელდება ყოველწლიურად. ხარისხის შეფასებას წარმართავს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ხოლო მონიტორინგი ხორციელდება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ.
პროგრამის ხარისხის შეფასებაში მონაწილეობს ყველა დაინტერესებული მხარე. პროცესში ასევე მონაწილეობენ აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ფაკულტეტის პერსონალი, სტუდენტები, პარტნიორი ორგანიზაციები (დამსაქმებლები) და კურსდამთავრებულები. პროგრამის შემდგომ განვითარებაში გათვალისწინებულია სხვადასხვა მხარის მიერ განხორციელებული შეფასებების შედეგები.
შედეგები გათვალისწინება ხდება პროგრამასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას. შეფასების შედეგები განიხილება ფაკულტეტის საბჭოზე და წარედგინება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს რეკომენდაციებისათვის. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციებს ამტკიცებს რექტორი. ფაკულტეტის ან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები და კომენტარები მიეწოდება პროგრამაში ჩართულ პირებს, ასევე პროგრამის შემუშავებისა და განახლების ჯგუფს, რომელიც ითვალისწინებს ამ რეკომენდაციებს პროგრამის მოდიფიცირებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის უზრუნველმყოფი მანდატები;
- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხი
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ვეტერინარიის ახალი ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამა წარდგენილია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში აკრედიტაციისთვის. მომზადების პროცესში, მაგალითად იქნა აღებული უცხოური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც სთავაზობენ მსგავს პროგრამებს, კერძოდ, გენტის უნივერსიტეტი, ბელგია; ესტონეთის სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა უნივერსიტეტი და ყარსის უნივერსიტეტი, თურქეთი. ეს პროგრამები მოარგეს საქართველოს სპეციფიურ მოთხოვნებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: - პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; - გარე შეფასების წერილი 1; - გარე შეფასების წერილი 2.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: პროგრამის განხორციელების დასრულების შემდეგ, უნივერსიტეტმა უნდა გააგრძელოს განვითარების პროცესი EAEVE-ს (ვეტერინარული განათლების დაწესებულებების ევროპული ასოციაცია) მიერ დადგენილი სტანდარტებისა და FVE-ს (ევროპის ვეტერინარიის ფედერაცია) ვეტერინარიის საბაკალავრო პროგრამების სტანდარტების გათვალისწინებით.
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3.პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, ინფორმაციის სისტემატური შეგროვებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამის ამოქმედების შემდეგ, სჯსუ–ში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტთან ერთად, ჩაატარებს გამოკითხვას პროგრამის სტუდენტებს შორის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის შესახებ (დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური).
მტკიცებულებები/ინდიკატორები: - პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: გარე დაინტერესებული მხარეები (მაგ., ფერმერები და რძის ქარხნების მფლობელები) მტკიცედ უჭერენ მხარს ვეტერინარიის პროგრამის შემუშავებას და წამოწყებას. ისინი ავლენენ უნივერსიტეტთან თანამშრომლობის სურვილს, განსაკუთრებით პრაქტიკული ტრენინგის ადგილებთან დაკავშირებით. ისინი აცნობიერებენ საქართველოში ცხოველთა ვეტერინარების კვალიფიციური მომზადების გადაუდებელ აუცილებლობას, რადგან კვალიფიციური პროფესიონალების არსებობა მათი ბიზნესების გაფართოების პროცესის დაჩქარებისთვის მნიშვნელოვანი ელემენტია. უნივერსიტეტთან და გარე დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობები უნდა განიხილებოდეს გაცილებით ფართო თვალსაზრისით, ვიდრე რეგულარული გამოკითხვებზე უკუკავშირით.
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:
ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

ანგარიშის გვერდების რაოდენობა:29

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები მკაფიოდაა განსაზღვრული და მიღწევადია; ისინი შესაბამისობაშია უსდ-ს მისიასთან და ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს		√		
2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3.სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4.სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5.სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ტომას ტიირატსი

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

ლევან ციცქიშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა

სახელი, გვარი, ხელმოწერა